საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/75

ქ. ბათუმი 13 ივლისი, 2023 წ.

შპს ,,ალტე“-ს „ინგლისური ფილოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის ბსუ-ს „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რიგგარეშე მობილობისათვის ვაკანტური ადგილების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ ნ ბრძანების, ,,შპს ალტე უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის პროცესის (რიგგარეშე მობილობის) ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ'' სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2023 წლის 11 ივლისის №1.1/100 ბრძანების და ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№22-05/05, 13.07.2023) დეკანის სამსახურებრივი ბარათის (MES 8 23 0000879266, 13.07.2023) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს - ალტეს „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინგლისური ფილოლოგია“ რიგგარეშე მობილობის ფარგლებში 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ჩარიცხვისათვის განისაზღვროს 10 ვაკანტური ადგილი.
2. წინამდებარე დადგენილების გათვალისწინებით გამოიცეს ბსუ-ს რექტორის ბრძანება ,,2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის შპს ,,ალტე“-ს „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების ბსუ-ში რიგგარეშე მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ.
3. სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა უზრუნველყოს წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრული ვაკანტური ადგილების შესახებ ინფორმაციის წარდგენა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის.

4. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და რექტორის მოადგილემ (ა. ბერიძე).

5. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

6. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

7. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**